**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**2018 წლის 08 ოქტომბერი** **ქ. თბილისი**

**დისციპლინური საქმე №214/17**

**მოსამართლე --- მიმართ**
**დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

-- -- და -- -- 2017 წლის 29 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 12 სექტემბრის №--/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:**

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- უპირობოდ ჩააბა საქმეში მესამე პირები, მაშინ როდესაც მისი უძრავი ქონების თანამესაკუთრეების საქმეში მესამე პირებად ჩაბმაზე მოსამართლემ მოითხოვა დრო დასაფიქრებლად და არ მიიღო გადაწყვეტილება. საჩივრის ავტორები მიიჩნევენ, რომ მოსამართლე აღნიშნულ დროს იყენებს იმისთვის, რომ იფიქროს რა საფუძვლით უთხრას უარი, რადგან განსახილველი საქმის უკან დგანან დაინტერესებული პირები, რომლებსაც სურთ უკანონო გადაწყვეტილების მიღება.

საჩივარში აგრეთვე მითითებულია, რომ მოსამართლემ უარი უთხრა მოწმეების დაკითხვაზე და უკან დაუბრუნა მათ მიერ საქმეზე დასართავად წარდგენილი მტკიცებულებები, რაც მოსამართლეს ისედაც თვითონ უნდა გამოეთხოვა. ასევე, სასამართლოს სხდომის ოქმები გაფორმებულია არასწორად, ვინაიდან სხდომის ოქმების წერილობით ვერსიაში არ არის ასახული განჩინებები, რაც მიღებული აქვს მოსამართლეს მოწმეების დაკითხვაზე და მტკიცებულებების გამოთხოვაზე უარის თქმისას.

**2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

-- -- და -- -- 2016 წლის 14 ნოემბერს სარჩელით მიმართეს -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - ქ. -- მუნიციპალიტეტის მერიის და ქ. -- მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ -- -- -- მიმართ. მოსარჩელეები მოითხოვდნენ ქ. -- მუნიციპალიტეტის მერიის და ქ. -- მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ -- -- -- ინდივიდუალური ადმინისტარციული სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობას, ახალი აქტების გამოცემას და როგორც 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიით დაზარალებულებზე, ზარალისა და საკომპენსაციო თანხების ანაზღაურებას.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტარციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 13 დეკემბრის განჩინებით, -- -- და -- -- სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად.

2017 წლის 23 მარტის სხდომაზე, საოქმო განჩინებით, სასამართლომ საკუთარი ინიციატივით საქმეში მესამე პირებად ჩააბა -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- -- და -- --, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ იმ სამართალურთიერთობის მონაწილეებს, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

2017 წლის 07 აპრილს მოსარჩელეების - -- -- და -- -- წარმომადგენელმა ადვოკატმა -- -- განცხადება-შუამდგომლობით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს -- --, რითაც იგი ითხოვდა სასამართლომ გამოიტანოს განჩინება და მიეცეს შესაძლებლობა, მოსარჩელეების სხვა წარმომადგენელთან - -- -- ერთად, რომელიც მასთან ერთად ბრალდებულია და მოთავსებულია საპატიმრო დაწესებულებაში, მიიღოს მონაწილეობა სასამართლო სხდომებში. იგი ამავე განცხადებით ითხოვდა, სასამართლომ ქ. -- მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სამსახურებიდან და დაწესებულებებიდან გამოითხოვოს დოკუმენტები და ინფორმაციები.

2017 წლის 03 ოქტომბერს მოსარჩელეების - -- -- და -- -- წარმომადგენელმა ადვოკატმა -- -- განცხადება-შუამდგომლობები წარადგინა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და მოითხოვა სასამართლომ საქმეს დაურთოს წერილობით შუამდგომლობაზე თანდართული უშუალოდ საქმესთან კავშირში არსებული დოკუმენტები, მან აგრეთვე მოითხოვა სასამართლომ -- მუნიციპალიტეტის მერიის

სამსახურებიდან/დაწესებულებებიდან და -- რაიონის გამგეობიდან გამოითხოვოს მის მიერ მითითებული ინფორმაციები და დოკუმენტები.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 05 ოქტომბრის სხდომაზე მოსამართლე -- -- გამოაქვეყნა მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობები საქმის განხილვის გადადების შესახებ, საქმეთა გაერთიანების შესახებ, მტკიცებულებების საქმეზე დართვისა და მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე. საოქმო განჩინებით, მოსამართლის მიერ არ დაკმაყოფილდა მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა მტკიცებულებების საქმეზე დართვისა და მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე.

2017 წლის 20 ნოემბერს საქმეზე გაიმართა მთავარი სხდომა, რა დროსაც მოსარჩელეების წარმომადგენელმა -- -- დააყენა შუამდგომლობა საქმეში მესამე პირებად ჩაბმული ყოფილიყვნენ -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- -- და -- --.

ამავე სხდომაზე მოსამართლე -- -- არ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა მტკიცებულებების გამოთხოვისა და მოწმეთა მოწვევის და დაკითხვის შესახებ დაუსაბუთებლობის გამო, ხოლო მესამე პირების ჩართვაზე შუამდგომლობასთან დაკავშირებით, მოსამართლემ მიიჩნია, რომ შუამდგომლობაზე უნდა იმსჯელოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 ნოემბრის განჩინებით, მოსამართლე -- -- არ დააკმაყოფილა მოსარჩელეების წარმომადგენლის შუამდგომლობა მესამე პირების ჩაბმის თაობაზე, უსაფუძვლობის გამო.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 ნოემბრის განჩინება მოსარჩელე მხარის მიერ კერძო საჩივრით გასაჩივრდა -- სააპელაციო სასამართლოში.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 მარტის განჩინებით, კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 25 მაისის განჩინებით, მოსამართლე -- -- მოსარჩელეების წარმომადგენლის შუამდგომლობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირების ჩაბმის თაობაზე არ დააკმაყოფილა და დააკმაყოფილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი ნაწილის საფუძვლით.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 25 მაისის განჩინება მოსარჩელე მხარის და საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო

კოდექსის პირველი ნაწილის საფუძველზე ჩაბმული მესამე პირების მიერ გასაჩივრდა -- სააპელაციო სასამართლოში.

**3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{1}$ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{10}$ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქმის მასალების მიხედვით, მოსამართლის მიერ მიღებული საოქმო განჩინებები, რითაც მხარეს უარი ეთქვა მოწმეთა დაკითხვაზე, მტკიცებულებების საქმეზე დართვასა და სხვადასხვა უწყებებიდან მტკიცებულებების გამოთხოვაზე, წარმოადგენს მოსამართლის მიერ გამოტანილ აქტებს, რაც დისციპლინური სამართალწარმოების დროს მსჯელობის საგანი ვერ იქნება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. თუ სამართალურთიერთობაში მონაწილეობს 10 პირზე მეტი, მაშინ სასამართლო საქმეში ჩააბამს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ.

საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მოსამართლე -- -- მოითხოვა დრო საქმეში მესამე პირების ჩაბმის თაობაზე შუამდგომლობის გადასაწყვეტად. საჩივრის ავტორის ამგვარი ინტერპრეტაცია მცდარია, ვინაიდან, მოსამართლემ 2017 წლის 20 ნოემბრის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება შუამდგომლობაზე ემსჯელა ზეპირი მოსმენის გარეშე, ხოლო 2017 წლის 29 ნოემბრის განჩინებით, არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა უსაფუძვლობის გამო. განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ვინაიდან ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას ზეპირი მოსმენის გარეშე იმსჯელოს მესამე პირების საქმეში ჩაბმის თაობაზე შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

საქმის მასალებზე დაყრდნობით აგრეთვე არ დადასტურდა საჩივრის ავტორის მითითება იმის შესახებ, რომ სასამართლოს სხდომის ოქმები გაფორმებულია არასწორად, ვინაიდან სხდომის ოქმის წერილობით ვერსიაში არ არის ასახული განჩინებები მის შუამდგომლობებზე - მოწმეების დაკითხვასა და მტკიცებულებების გამოთხოვასთან დაკავშირებით. სასამართლო სხდომის ოქმის წერილობითი და აუდიო ვერსიის თანახმად, მოსამართლემ იმსჯელა მხარის შუამდგომლობებზე და მიიღო საოქმო განჩინება, რაც ასახულია წერილობით ოქმშიც.

**4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{1}$ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 12 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, $75^{10}$ მუხლის მე-5 პუნქტითა და $75^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

დისციპლინურ საქმეზე №214/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**გიორგი მიქაუტაძე**

**საქართველოს იუსტიციის**
**უმაღლესი საბჭოს მდივანი**